

# **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლოუნა ბილდინგი“**

*ფინანსური ანგარიშგება*

*2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის*

ქ.ბათუმი

2022

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
გენერალური დირექტორი

## სარჩევი

|                                                                                                      |      |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                                                              | 3    |
| მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....                                               | 4    |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....                                                                 | 5    |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....                                                          | 6    |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....                                                               | 6-12 |
| შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                                  | 7    |
| შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....                                         | 7    |
| შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა .....                                                                | 7-10 |
| შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები ..... | 10   |
| შენიშვნა 5. მსს ფასს-ზე გადასვლა .....                                                               | 11   |
| შენიშვნა 6 .ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება .....                                                  | 11   |

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
გენერალური დირექტორი



6-12 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ცართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ფინანსური მდგომარეობა                                       | 31/12/2021 | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|-------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 46130      | 22936      | 348        |
| საგაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 1156978    | 215065     | 206013     |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 118272     | 231304     | 269075     |
| მარაგები                                                    | 888301     | 1717723    | 1759588    |
| მზა პროდუქცია                                               | 888301     | 1717723    | 1759588    |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 175293     | 94874      | 89173      |
| ძირითადი საშუალებები                                        | 37633      | 58243      | 53490      |
| სულ აქტივები                                                | 2422607    | 2340145    | 2377687    |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                         | 0          | 0          | 0          |
| საგაჭრო ვალდებულებები                                       | 172334     | 146926     | 109239     |
| ანარიცხები                                                  | 0          | 0          | 0          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                          | 11443      | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                          | 874128     | 800137     | 1082497    |
| სულ ვალდებულებები                                           | 1057905    | 947063     | 1191736    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                    |            |            |            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                   | 1364702    | 1393082    | 1185951    |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                       | 1364702    | 1393082    | 1185951    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                      | 2422607    | 2340145    | 2377687    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                   | 2450375    | 2281902    | 2324197    |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                              | 1057905    | 947063     | 1191736    |

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო

გენერალური დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

| საქმიანობის შედეგები                                                                              | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                                                                                    | 995306     | 354358     |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                               | 995306     | 354358     |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                         | -829422    | -147028    |
| საერთო მოგება                                                                                     | 165884     | 207330     |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                        | 0          | 0          |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                          | -128863    | 0          |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                            | -128863    | 0          |
| საოპერაციო მოგება                                                                                 | 37021      | 207330     |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                            |            |            |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით<br>ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0          | -263       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                           | 0          | 64         |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე<br>განგრძობითი ოპერაციებიდან                       | 37021      | 207131     |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                         | -9390      | 0          |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                            | 27631      | 207131     |

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო

გენერალური დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

**კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**

| კაპიტალის სხვა ცვლილებები                           | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|-----------------------------------------------------|------------|------------|
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                 | 27631      | 207131     |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1393082    | 1185951    |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)      | -56011     | 0          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში               | 0          | 0          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                           | 0          | 0          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს      | 1364702    | 1393082    |

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
გენერალური დირექტორი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"  
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
 (ქართული ლარში)

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                          | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|----------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 23194      | 22588      |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                 | 23194      | 22588      |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                            | 22936      | 348        |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                 | 46130      | 22936      |

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
 გენერალური დირექტორი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი" \***  
**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

**შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს „ლუნა ბილდინგი“ რეგისტრირებულია 2016 წლის 21 აპრილს. საზოგადოების საინდენტიფიკაციო კოდი 446965632.

საზოგადოების იურიდიული მისამართი: საქართველო, ქობულეთი, თავისუფლების ქ., N 15, ბ. 23.

ფაქტობრივი მისამართი: ქობულეთის რაიონი, თამარ მეფის ქუჩა N 66.

საწარმოს დაფუძნებული პარტნიორები არიან:

51 %-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ალინა მარტინკო პ/ნ 19700829-00882

10 %-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი იონას მარტინკო პ/ნ 19970930-01478

39 %-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ოლენა ვოდუიკა პ/ნ 19700806-03503

-საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების რეალიზაციით და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს საქართველოში, რამდენადაც საწარმოო მშენებლობისათვის საჭირო სმფ-ს შეიძენს საქართველოში. ფულადი სახსრების ხარჯვა ძირითადად ხდება საქართველოში. გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

**შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

**შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა**

**ამონაგების აღიარება**

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
გენერალური დირექტორი

6-12 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"**  
**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**  
(*ქართულ ლარში*)

**სავაჭრო მოთხოვნები**

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

**სავაჭრო ვალდებულებები**

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საცხოვრებელი ბინის მიწოდების შემთხვევაში, სადაც ანგარიშსწორების ფულად ერთეულად განიხილება უცხოური ვალუტა და ანგარიშსწორება ხორციელდება ექვივალენტ ლარში საქონლის მიწოდების ფასს განსაზღვრავს ფაქტურად ანაზღაურებული ლარი.

**ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება**

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

|                          |         |
|--------------------------|---------|
| შენობა-ნაგებობები        | 5%      |
| მანქანა-დანადგარები      | 15%-20% |
| ოფისის აღჭურვილობა       | 15%-20% |
| სატრანსპორტო საშუალებები | 20%     |

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
გენერალური დირექტორი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"**  
**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

#### **მარაგი**

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

#### **აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### **დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები**

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
გენერალური დირექტორი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"**  
**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრეჯლოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრეჯლოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების საწევლოდ.

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

**მოგების გადასახადი**

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს.

საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

**შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები**

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

ბელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო  
გენერალური დირექტორი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლუნა ბილდინგი"**  
**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**  
**(ქართულ ლარში)**

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

**შენიშვნა 5. მსს ფასს-ზე გადასვლა**

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემო-ებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

**შენიშვნა 5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 30 სექტემბერს..

შპს „ლუნა ბილდინგი“

დირექტორი

ალინა მარტინკო

*მირდი ბილი წიხი*  
*დავით შხაძე*  


ხელმძღვანელობის სახელით:

ალინა მარტინკო

გენერალური დირექტორი

ქ. ბათუმი

18 ოქტომბერი 2021 წ

ექლევა შპს „ლუნა ბილდინგი“-ს (ს/ნ 446965632) წარმომადგენელს ბატონ დავით შარაშიძეს პირადი №61001023896 მასზედ, რომ დაიცვას საწარმოს ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. ამ მიზნით მინდობილი პირი შპს „ლუნა ბილდინგი“-ს (ს/ნ 446965632) წარმომადგენს ფიზიკურ, კერძო ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტთან და შემოსავლების სამსახურის დაეების დეპარტამენტებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო, ადმინისტრაციულ საქმეები.

მინდობილი პირი უფლებამოსილია საწარმოს სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის:

1. მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ საგადასახადო შემოწმების პროცესში და შემოწმების მასალების საჩივრების განხილვაში დავის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში;
2. წარმოადგინოს საზოგადოება, საზოგადოების სახელით გააგზავნოს ან მიიღოს კორესპოდენციები, გასცეს ახსნა-განმარტება, შეიტანოს განცხადება და/ან საჩივარი დადგენილ ვადაში და წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, არსებული წესების დაცვით გაასაჩივროს დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება;

მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საწარმოს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

მინდობილობა გაცემულია 2021 წლის 18 ოქტომბრიდან 2(ორი) წლის ვადით და ძალაშია 2021 წლის 18 ოქტომბრიდან 2023 წლის 18 ოქტომბრამდე.

შპს „ლუნა ბილდინგი“-ს  
დირექტორი

ალინა მარტინკო

